



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა
ჯგუფის დასკვნა
შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ მიერ ავტორიზაციის პირობების
შესრულების შემოწმების შესახებ



ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე:

ელენე გიგინეიშვილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტი

წევრები:

თამარ გოდერიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი

თბილისი
2023

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6, ქ. თბილისი, 0114, საქართველო
ვებ-გვერდი	www.geomedi.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2021წ. 13 დეკემბერი. 1423283
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2027წ. 22 ივნისი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები¹

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	7
ბაკალავრიატი	2
მაგისტრატურა	2
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	7
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა ²	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	2

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა	სტუდენტების რაოდენობა		პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
	აქტიური	შეჩერებული	
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	908	269	83%
ბაკალავრიატი	55	59	86%
მაგისტრატურა	6	6	80%
ერთსაფეხურიანი	847	204	84%
დოქტორანტურა			-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			-

¹იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

²იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3⁴⁸ პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	652	124	81%
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	337
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	83
- პროფესორი	32
- ასოცირებული პროფესორი	39
- ასისტენტ პროფესორი	7
- ასისტენტი	5
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	9
- მეცნიერი	9
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	78
- აფილირებული პროფესორი	30
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	37
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	6
- აფილირებული ასისტენტი	5
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	6
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	2
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	150
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	128

შენიშვნა-ნაგებობათა საერთოფართო

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	6630.62
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2891.25
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3739.37

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პრობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:
 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N888883 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 28 ივლისს განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედი“, ავტორიზაციის პრობების შესრულების მონიტორინგის მიზნით. შეფასების პროცესი განხორციელდა დაგეგმილ თარიღში, სასწავლო დაწესებულებაში. ინტერვიუება განხორციელდა როგორც ადმინისტრაციულ ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. მოხდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება, კერძოდ ბიბლიოთეკის, საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის, სიმულაციური სამედიცინო ცენტრის, ლაბორატორიების და გეომედის საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო ცენტრის.
 დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების გარდა, ვიზიტის განხორციელების პროცესში ექსპერტთა მიერ ადგილზე გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა მოწოდება დროულად უზრუნველყო დაწესებულებამ.

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე:
 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ექსპერტთა ჯგუფთან გადმოგზავნილ იქნა სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედი“-ს, ექსპერტთა დასკვნითი პროექტის საფუძველზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. რეკომენდაციებთან მიმართებაში, დოკუმენტში აღინიშნება პროგრესი. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ იქნა ფოტოები, სადაც ნათლად ჩანს სარეაბილიტაციო ცენტრთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინება, ასევე დაკორექტირებული სილაბუსები. ვინაიდან ცვლილებები განხორციელებულია ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციები რჩება უცვლელი.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
 შეფასების განხორციელების თარიღი: _____

სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
 შეფასების განხორციელების თარიღი: _____

საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
 შეფასების განხორციელების თარიღი: _____

შეფასება ავტორიზაციის პრობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
 შეფასების განხორციელების თარიღი: _____ 28.07.2023 _____

<p>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</p>	<p>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეების სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</p>
<p>ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 2.2.1 რეკომენდირებულია საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართული</p>	<p>შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ მიერ გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით განხორციელდა</p>

<p>სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით.</p>	<p>საერთაშორისო და ადგილობრივი აქტივობები სტუდენტთა და პერსონალის ჩართულობით.</p>
<p>2.2.2 (1) გააუმჯობესეთ ხარისხის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო ერთეულების დონეზე.</p>	<p>შესრულებულია. დაწესებულებაში ხორციელდება სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები. საგანმანათლებლო ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამის სამსახურს დაემატა თანამშრომლები. თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს ცალკეული ხარისხის სპეციალისტი.</p>
<p>2.2.2 (2) რეკომენდირებულია გააქტიურდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი სწავლის შედეგებისა და პრაქტიკული უნარების შეფასების კუთხით.</p>	<p>შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ. შედეგების ანალიზის შედეგად მუშავდება რეკომენდაციები და ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს რეაგირებისათვის.</p>
<p>2.2.3 უნივერსიტეტის მმართველობამ უნდა განიხილოს პლაგიატის აღმოჩენის საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შემენა, მისი LMS სისტემაში ინტეგრირება და პლაგიატზე შეამოწმოს სტუდენტის ყველა წერიტი ნაშრომი.</p>	<p>ნაწილობრივ შესრულებულია. დაწესებულება წერიტი ნაშრომების შემოწმების მიზნით იყენებს Google Classroom-ს, სადაც ლექტორების მიერ ხორციელდება მიზნობრივ საგნებში წერიტი ნაშრომების პლაგიატზე გადამოწმება, ხოლო სამაგისტრო და სამეცნიერო ნაშრომებისთვის იყენებს პლაგიატის პროგრამას სახელწოდებით „CopyLeaks“. აღნიშნული პროცესი არ არის ინტეგრირებული LMS სისტემაში, თუმცა პროცესი ხორციელდება.</p>
<p>3.1.1 რეკომენდირებულია მონიტორინგი გაეწიოს სასწავლო პროცესს, რომ სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს პროგრამასა და სილაბუსებში გაწერილი მეთოდების (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში, ასევე მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად).</p>	<p>შესრულებულია. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის მეთვალყურეობის ქვეშ, რაც მკაცრად ითვალისწინებს სილაბუსებში გაწერილი სწავლების მეთოდების და შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობის კონტროლს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება რეგულარული (ანონიმური) გამოკითხვები, რომელიც აფასებს აღნიშნულ პროცესს. სპეციალურად შემუშავებული ჩეკ-ლისტების მეშვეობით ხორციელდება კლინიკურ-პრაქტიკული უნარების შეფასება იმ საგამოცდო ნაწილში, რომელიც ეხება OSCE, MINI-CEX-ის მიმდინარეობას.</p>

<p>3.1.2 რეკომენდირებულია განხორციელდეს პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების იმ შედეგების შეფასების ანალიზი, რომლებიც რეალურად დანერგილი და გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის დროს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას და ხარისხის უზრუნველყოფას.</p>	<p>შესრულებულია. ელექტრონულ EMS სისტემაში ჩაშენებულია OSPE, OSCE, MINI-CEX გამოცდების შეფასების მექანიზმი (მეთოდი). შეფასება ხორციელდება სემესტრში ორჯერ - შუაში ჩასმულია მინი-კლინიკური გამოცდა, ფინალური გამოცდა ითვალისწინებს OSCE-ს ჩართულობას. პროცესის მიმდინარეობის და შედეგების დამუშავება ხორციელდება ხარისხის სამსახურის მიერ და გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს და დეკანს.</p>
<p>3.2.1 რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის სასწავლო კურსების გადახედვა და ზოგიერთი სასწავლო კურსის არჩევითიდან სავალდებულოში გადმოტანა, მაგ: სოციოლოგია, სასამართლო მედიცინა, კლინიკური ტოქსიკოლოგია, ზოგადი ფსიქოლოგია, ზოგიერთი სასწავლო კურსის დამატება - მაგ. საოჯახო მედიცინა.</p>	<p>შესრულებულია. მედიცინის პროგრამების სავალდებულო კლინიკური სასწავლო კურსების ჩამონათვალში, მე-7 და მე-8 სემესტრებში დაემატა „საოჯახო მედიცინა -1“ და „საოჯახო მედიცინა -2“ შესაბამისად.</p>
<p>3.2.2 რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ და როგორც პროგრამაში ასევე სილაბუსებში სწავლის ანალიზის შედეგების ფორმირება ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით.</p>	<p>შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ მიერ მედიცინის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში და ასევე სილაბუსებში სწავლის შედეგები ფორმირებულია ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით.</p>
<p>3.2.3 რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის ინტეგრაციების გადახედვა სასწავლო თემატიკების გათვალისწინებით.</p>	<p>შესრულებულია. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში არსებული მოდულების ინტეგრაცია აკმაყოფილების უნივერსიტეტის მიზანს და სწავლის შედეგების მიღწევას.</p>
<p>3.2.4 რეკომენდირებულია მედიცინის ქართულენოვან პროგრამაში სასწავლო ლიტერატურის განახლება</p>	<p>შესრულებულია. არსებულ სასწავლო ლიტერატურას დაემატა ახალი ლიტერატურა ქართულ ენაზე: - ფსიქოლოგია (ფსიქოლოგია „მწიგნობარი“ თბ.2019 იმედაძე ი.) - ოფთალმოლოგია - ჩიჩუა ალ. ჩიჩუა გ. კლინიკური ოფთალმოლოგიის მორფოლოგიური საფუძვლები. 2021 წ. - ნეფროლოგია, უროლოგია - ჩიგოგიძე თ. მანაგაძე გ. შარდ-სასქესო სისტემის ანომალიები, 2021. - ბოღიაჟინა ვ. სეროვი ვ. - მენობა. 2018. - ხუჯაძე მ. ხუჯაძე ო. - ოტო-რინო</p>

	<p>ლარინგოლოგია და თავ-კისრის პათოლოგიები 2021.</p> <p>- თოიძე მ. კიკალიშვილი ლ. კლინიკური ანატომია და ოპერაციული ქირურგია - 2021.</p> <p>- ცინაძე ა. კობაიძე მ. - ფიზიკა და ბიოფიზიკა. 2014.</p> <p>- კილაძე მ. ჩართოლანი თ. - „ლაპაროსკოპიული ქირურგია“ 2013.</p>
<p>3.2.5 რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის სასწავლო კურსების წინაპირობების გადახედვა და წინაპირობის სახელწოდების დაკონკრეტება სასწავლო კურსის სახელწოდებით რიგ სასწავლო კურსებში.</p>	<p>შესრულებულია.</p> <p>გადაიხედა და დაზუსტდა წინაპირობის დასახელებები შემდეგ კურსებში: - „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ბლოკი“ წინაპირობად დაედო „ზოგად ფარმაკოლოგია“-ს და „მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ვირუსოლოგია I“ -ს. „ზოგადი ფარმაკოლოგია“ დაედო წინაპირობად „კლინიკურ ფარმაკოლოგია“-ს. „გერიატრია“-ს დაედო წინაპირობად მოდულები - „ორგანოთა სისტემების პათოლოგიის მოდულები“ და „ნევროლოგია“. „საოჯახო მედიცინა I“ -ს დაედო წინაპირობად „ორგანოთა სისტემების პათოლოგიის მოდულები“. „საოჯახო მედიცინა -1“ დაედო წინაპირობად „საოჯახო მედიცინა -2“-ს.</p>
<p>3.3.1 რეკომენდირებულია მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში გადახედილ იქნას შეფასების სისტემა დაკონკრეტების მიზნით.</p>	<p>შესრულებულია.</p> <p>მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სილაბუსში შეფასების სისტემის გადახედვის შემდეგ დაკონკრეტდა შეფასების მეთოდები. აღნიშნული მეთოდები შესაბამისობაშია განახლებული დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილ მინიმალურ სტანდარტთან და რეკომენდირებულ მეთოდებთან.</p>
<p>3.3.2 რეკომენდირებულია მედიცინის პროგრამის განხორციელების დროს პაციენტების თანხმობის მიღების შედეგ მათი ჩართვა სწავლების პროცესში.</p>	<p>შესრულებულია.</p> <p>მედიცინის პროგრამის განხორციელების დროს, სასწავლო პროცესში, სწავლების ნაწილში პაციენტების ჩართვამდე გამოიყენება მათი ინფორმირებული თანხმობა - ვერბალური სახით. შეფასების ნაწილში მინი-კლინიკურ გამოცდამი მონაწილეობის მიღებამდე პაციენტი თანხმობას ადასტურებს ვერბალურად.</p> <p>გადაუდებელი ან უგონო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში, კლინიციკები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „ნაგულისხმები თანხმობის პრინციპით“.</p>

<p>4.1.1 უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს უნივერსიტეტის თანამშრომლობის საჭიროებების სისტემური შესწავლა და ამის მიხედვით განსაზღვროს ტრენინგების მიმართულებები როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებისათვის.</p>	<p>შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ ხარისხის უზრუნველყოფის და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ ხორციელდება საჭიროებების დადგენა და შესწავლა.</p>
<p>4.1.2 რეკომენდირებულია მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, ისე რომ პროგრამის განმახორციელებლებმა პერსონალმა შეძლოს სასწავლო კურსში ასახული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების განხორციელება სწავლების პროცესში.</p>	<p>შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედში“ განხორციელდა მედიცინის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება (35) სწავლებისა და შეფასების მეთოდებში, კერძოდ CBL, OSPE, Mini Cex.</p>
<p>5.1. გაიმართოს სტუდენტების გასაჩივრების მექანიზმები და დარწმუნდით, რომ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება ყველა ტიპის შეფასების გასაჩივრების (მათ შორის პრაქტიკული დავალების).</p>	<p>ნაწილობრივ შესრულებულია. დაწესებულების მიერ პრაქტიკული დავალებების გასაჩივრება მოგვარებულია, დამონატაჟებულია ხმის ჩამწერი მოწყობილობები. სტუდენტებს დათქმულ ვადებში აქვთ შესაძლებლობა გასაჩივრონ შესაბამისი სადგური, დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით უზრუნველყოს სტუდენტისთვის ჩანაწერის ჩვენება და შეფასების მექანიზმის ობიექტურობა. აღნიშნული აპარატურა არ ფიქსირდება საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკაში.</p>
<p>7.1. რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდის ჩატარება ისე, რომ არ დაირღვეს სტრუქტურისა და პროცესის წარმოება განხორციელდეს შესაბამისად აღჭურვილ გარემოში.</p>	<p>შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედში“ ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდა ტარდება საერთაშორისოდ დადგენილი ნორმების და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. გამოცდა ტარდება 12 სადგურზე, რაც აღჭურვილია შესაბამისი ვიდეო და აუდიო მატერიალური რესურსით.</p>

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის და მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით რეკომენდირებულია LMS სისტემაში პორტფოლიოს, როგორც შეფასების ერთ-ერთი სავალდებულო მეთოდის ინტეგრირება.
- „გეომედი“-ს საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკაში, საგამოცდო სივრცეში დამონტაჟდეს ვიდეო/აუდიო აპარატურა ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდის გამჭვირვალობისათვის, რათა სტუდენტს შეეძლოს ჩანაწერის ნახვა პრაქტიკული გამოცდის გასაჩივრების შედეგად.
- რეკომენდირებულია შუალედური მინი კლინიკური გამოცდა Mini Cex, რაც მოიაზრებს გამოცდას პაციენტის ჩართულობით, გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც შეიძლება დარეგულირდეს მაღალი ქულობრივი განაწილებით.

რჩევები

- სასურველია ასევე ელექტრონულ ბაზაში ინტეგრირდეს მინი კლინიკური გამოცდის და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდის საკითხები.
- სასურველია ანტიპლაგიატის სისტემის LMS სისტემაში ინტეგრირება.
- სასურველია შეფასებისა და სწავლების მეთოდოლოგიაში გადამზადებისათვის მოწვეულ იქნას საერთაშორისო ტრენერი მედიცინის მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.	უსდ-ისმისიადასტრატეგიულიგანვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ისმისია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიულიგანვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	უსდ-ისორგანიზაციულსტრუქტურადამართვა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციულსტრუქტურადამართვა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხისუზრუნველყოფისშიდამექანიზმები	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისადაკეთილსინდისიერებისპრინციპებისდაცვა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	საგანმანათლებლოპროგრამები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლოპროგრამებისშემუშავებადაგანვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	უსდ-ის პერსონალი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო დამოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	კვლევა, განვითარება ან/დასხვა შემოქმედებითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე)
ელენე გიგინეიშვილი



2. სახელი, გვარი (წევრი)
თამარ გოდერიძე



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში,

ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.				
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:				
მონიტორინგის	მიზნით	უსდ-ს	მიერ	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადაგანხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობითა და წერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
ანალიზში უნდა აისახოს როგორ	იქნა	გათვალისწინებული	უნივერსიტეტის მიერ	ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები ³ ; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:				
მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).				
რეკომენდაციები:				
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.				
რჩევები:				
არასავალდებულო	ხასიათის		რჩევები,	რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება:				
მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:				
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან				
<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან				
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან				
<input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან				
1.2 სტრატეგიული განვითარება				
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში და გროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე. 				
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:				
მონიტორინგის	მიზნით	უსდ-ს	მიერ	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადაგანხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობითა და წერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
ანალიზში უნდა აისახოს როგორ	იქნა	გათვალისწინებული	უნივერსიტეტის მიერ	ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:				
მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და				

³ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა დამართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა დამართვა <ul style="list-style-type: none"> o უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. o უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. o უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“-ის მიერ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში განხორციელდა საერთაშორისო აქტივობები გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით. კერძოდ ინტერვიუებისას გამოიკვეთა შემდეგი ინფორმაცია, რომ ერასმუს პლიუს ფარგლებში პოლონეთის და ყატარის უნივერსიტეტებიდან მოწვეულ იქნა პროფესორები. ჩატარდა საჯარო ლექციები სტუდენტებისთვის (არა ჯანდაცვითი მიმართულებით). დაწესებულების მიერ იგეგმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, როგორც სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებში ჩართულობის, ასევე პერსონალის მობილობის მიზნით. ვიზიტის პროცესში დადასტურების სახით წარმოდგენილი იქნა ოფიციალური შედეგები, რომელიც მათი ინფორმაციით უნდა დასრულდეს 2023 ის შემოდგომაზე, ასევე მემორანდუმის დრაფტი. სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“ ჩართულია ერაზმუს პლიუს პროგრამაში, გამოცხადებულია კონკურსი როგორც ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. გრანადის უნივერსიტეტში (ესპანეთი) განხორციელდება ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა, ხოლო რუმინეთში, კერძოდ გრეგორი პოპას სახელობის უნივერსიტეტში გაემგზავრება მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტი. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ერაზმუს პლიუს პროგრამის ფარგლებში ფინანსდება. კონკურსის შედეგად უკვე შერჩეულია მედიცინის სტუდენტი. ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის პროგრამის განმახორციელებელი ერთი აკადემიური

პერსონალი, უნივერსიტეტის დაფინანსებით გაემგზავრა პოლონეთში, სადაც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კვირეულში.

მედიცინის ორი სტუდენტი იმყოფებოდა ალტინბას უნივერსიტეტში, თურქეთში, ბილატერალური გაცვლითი პროგრამით.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა მზაობა ინტერნაციონალიზაციის მიზნით გაცვლითი პროგრამების და საერთაშორისო მემორანდუმების რაოდენობის გაზრდა უახლოეს პერიოდში.

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით- შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები;
- ერაზმუს + გაფორმებული ხელშეკრულება;
- სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ ანგარიში;

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედ“-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება სწავლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმები. განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ითვალისწინებს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე ყოველსემესტრულად ინფორმაციის დამუშავებას და სტატისტიკურ ანალიზს; აკრედიტაციის და ავტორიზაციის პროცესისათვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას; სწავლის, სწავლების და შეფასების მეთოდების დანერგვის პროცესების ხელშეწყობას; უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის პროცესში მონაწილეობას; პროგრამების პერიოდულ შეფასებას (სემესტრში ორჯერ) და მონიტორინგს; მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზს.

შესაბამის სამსახურს დაემატა თანამშრომლები, კერძოდ ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის გარდა დაწესებულებაში მუშაობს კიდევ ოთხი სპეციალისტი, რომლებიც მუშაობენ მედიცინის, ჯანდაცვის მენეჯმენტის, სტომატოლოგიის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედ“-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სემესტრულად ხორციელდება ადმინისტრაციული პერსონალის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების და დამსაქმებლების გამოკითხვა. ლექტორების და სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული კითხვარების საშუალებით, სემესტრში ორჯერ. აღნიშნული კითხვარების შევსება სავალდებულოა, რაც ასევე დადასტურდა პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუებისას. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს და დეკანს რეაგირებისათვის. სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგს: სტუდენტის მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასებას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შუალედურ შეფასებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დასკვნით შეფასებას, სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარების შესრულების შეფასებას, სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასებას და სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის შეფასებას. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა რომ სტუდენტური აქტივობების შესაფასებლად იყენებენ პორტფოლიოს, სტუდენტებს აღნიშნულ შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით ინფორმაცია არ ჰქონდათ.

მედიცინის ფაკულტეტის მიერ პრაქტიკული უნარ ჩვენების შეფასების კუთხით სილაბუსებში დაზუსტდა შემდეგი: მინი კლინიკური გამოცდა (Mini CEX), იბიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE). მედიცინის ფაკულტეტის დეკანის და ხარისხის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რაც მოიცავდა აღნიშნული შეფასების მეთოდების ჩეკლისტებს. ჩეკლისტებში დეტალურად არის გაწერილი როგორც პრაქტიკული დავალებების, ასევე პაციენტებთან (სიმულაციურ პაციენტთან) საკომუნიკაციო უნარების შეფასების სისტემა, დეტალურად გაწერილი რუბრიკებით. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის საკითხები ჩაშენებულია LMS სისტემაში, რომელიც უჩანს როგორც ადმინისტრაციას, შემფასებელ ლექტორებს (კონკრეტული სადგური) ასევე სტუდენტებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სემესტრში ორჯერ შესაძლებელია პრაქტიკული დავალებების მიმართულებით სწავლის შედეგების სტატისტიკის დამუშავება, ანალიზი და ფაკულტეტთან გადაგზავნა რეაგირებისათვის. დაწესებულებამ წარმოადგინა მედიცინის, ფიზიკური რეაბილიტაციის და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ანალიზი, პრაქტიკული უნარ-ჩვენების მიმართულებით.

რეკომენდაცია: გააუმჯობესეთ ხარისხის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო ერთეულების დონეზე-შესრულებულია

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია გააქტიურდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი სწავლის შედეგებისა და პრაქტიკული უნარების შეფასების კუთხით- შესრულებულია.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების შრომითი ხელშეკრულებები;
 - ინტერვიუს შედეგები;
 - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ ანგარიში;
 - OSCE, OSPE, Mini Cex ჩეკლისტები;
 - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ელექტრონული სისტემა;
 - პრაქტიკული დავალებების შეფასებების ანალიზი.

- რეკომენდაციები:**
- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის და მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით რეკომენდირებულია LMS სისტემაში პორტფოლიოს, როგორც შეფასების ერთ-ერთი სავალდებულო მეთოდის ინტეგრირება.

რჩევები:

- სასურველია ასევე ელექტრონულ ბაზაში ინტეგრირდეს მინი კლინიკური გამოცდის და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდის საკითხები.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ პლაგიატის აღმოჩენის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია Google classroom და ანტიპლაგიატის პროგრამა Copyleak Inc.

სტუდენტების ერთსაფეხურიან და საბაკალავრო ნაშრომების დონეზე გამოიყენება Google classroom. ხარისხის სამსახურთან, ასევე პერსონალთან ინტერვიუებისას დადგინდა რომ ლექტორებს აქვთ შექმნილი სპეციალური ელექტრონული საკლასო ოთახები, სადაც სტუდენტი ტვირთავს მის ნაშრომს და ამოწმებს პლაგიატზე. სტუდენტს აქვს საშუალება ჯერ დამოუკიდებლად შეამოწმოს ნაშრომი მსგავსებაზე, აღმოჩენის შემთხვევაში მოახდინოს რედაქტირება. საბოლოო ნაშრომს ამოწმებს ლექტორი და ახდენს შეფასებას. ლექტორებმა ასევე აღნიშნეს რომ აღნიშნულ პლატფორმას იყენებენ სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ და ლიტერატურის გასაზიარებლად. აღნიშნული პლატფორმას არის უფასო და დაწესებულება აქტიურად იყენებს. რაც შეეხება აკადემიურ ნაშრომების, საკონფერენციო თემების და სამაგისტრო თემების პლაგიატის აღმოსაჩენად დაწესებულება იყენებს მიზნობრივ აკადემიურ პლატფორმას „Copyleak Inc“. დაწესებულებას ვიზიტის დროს მოეთხოვა ანტიპლაგიატის პროგრამის გამოსაყენებლად გადახდის ქვითარი, რაც მათ წარმოადგინეს 2023 წლის ოქტომბრის ვადით, თუმცა ასევე წარმოდგენილ იქნა დადასტურებად სამაგისტრო ნაშრომები გატარებული 2023 წლის ივნისში.

რეკომენდაცია: უნივერსიტეტის მმართველობამ უნდა განიხილოს პლაგიატის აღმოჩენის საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, მისი LMS სისტემაში ინტეგრირება და პლაგიატზე შეამოწმოს სტუდენტის ყველა წერიტი ნაშრომი- ნაწილობრივ შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანტიპლაგიატის პროგრამის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ინვოისი;
- სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ ანგარიში;
- ანტიპლაგიატზე (Google classroom, Copyleak Inc) გატარებული ნაშრომების სქრინშოტები;
- ვიზიტისას განხორციელებული ნაშრომის ანტიპლაგიატზე შემოწმების პროცედურა ექსპერტთან დასწრებით;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

<p>რჩევები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია ანტიპლაგიატის სისტემის LMS სისტემაში ინტეგრირება.
<p>შეფასება:</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება</p>
<p>უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.</p>
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები შესაბამისი და გამჭვირვალეა, თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის; საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებსაიტზე: www.geomedi.edu.ge. პროგრამაში განსაზღვრულია დაშვების წინაპირობები და პროცედურები. საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეების დაშვების წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონით. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს უნივერსიტეტში მედიცინის სპეციალობაზე. ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.</p> <p>უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირების, უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა, შესაბამის უცხო ენაში ტესტირების გავლა ან ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა (არანაკლებ B2 დონისა).</p> <p>სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის მეთვალყურეობის ქვეშ, რაც მკაცრად ითვალისწინებს სილაბუსებში გაწერილი სწავლების მეთოდების და შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობის კონტროლს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება რეგულარული (ანონიმური) გამოკითხვები, რომელიც აფასებს აღნიშნულ პროცესს. სპეციალურად შემუშავებული ჩეკ-ლისტების მეშვეობით ხორციელდება კლინიკურ-პრაქტიკული უნარების შეფასება იმ საგამოცდო ნაწილში, რომელიც ეხება OSCE, MINI-CEX-ის მიმდინარეობას. ელექტრონულ EMS სისტემაში ჩაშენებულია OSPE, OSCE, MINI-CEX გამოცდების შეფასების მექანიზმი (მეთოდი). აღნიშნული მეთოდებით შეფასება ხორციელდება სემესტრში ორჯერ - შუალედური გამოცდისთვის განსაზღვრულია ტარდება მინი კლინიკური გამოცდა (MINI Cex), ფინალური გამოცდა ითვალისწინებს OSCE-ს და OSPE-ს. პროცესის მიმდინარეობის და შედეგების დამუშავება ხორციელდება ხარისხის სამსახურის მიერ და გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს და დეკანს.</p> <p>რეკომენდაცია: რეკომენდირებულია მონიტორინგი გაეწიოს სასწავლო პროცესს, რომ სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს პროგრამასა და სილაბუსებში გაწერილი მეთოდების (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში,</p>

ასევე მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად)- შესრულებულია.

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია განხორციელდეს პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების იმ შედეგების შეფასების ანალიზი, რომლებიც რეალურად დანერგილი და გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის დროს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას და ხარისხის უზრუნველყოფას- შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. შეფასების მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგია (დანართი #3.1)
2. ხარისხის სამსახურის მიერ დამუშავებული ექსელის ფაილები (დანართი # 3.2)
3. პროგრამირების შეფასების სემესტრული ანგარიში (დანართი # 3.3)
4. OSPE, OSCE, MINI-CEX გამოცდების შევსებული ჩეკ-ლისტები (დანართი # 3.4)
